30 ივლისი

შაბათი,
1963 წ.
№ 149 (2254)
გამოცემის მე-19 წელი.
ფასი 2 კაპ.



# ლელო

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

# სახელოვანი იუბილე

დღეს მთელი საბჭოთა ხალხი, მსოფლიოს პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავენ რსდმპ II ყრილობის 60 წლისთავს, სახელოვან თარიღს, საიდანაც ფაქტიურად იწყება ახალი ტიპის პარტიის, ლენინური, ბოლშევიკური პარტიის მოქმედება.

ძნელი და სახელოვანი გზა განვლო რუსეთის მუშათა კლასმა, ვიდრე შექმნიდა თავის დამოუკიდებელ, პოლიტიკურ მარქსისტულ პარტიას, რომელმაც სათავე აიღო ვ. ი. ლენინის მიერ 1895 წელს დაარსებულ პეტერბურგის „მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირიდან". უველაზე დიდი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების წარმომადგენელთა პირველმა ყრილობამ, რომელიც 1898 წლის მარტში შეიკრიბა, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნა გამოაცხადა. ყრილობამ გამოუშვა „მანიფესტი", რომლის ძირითად დებულებებს სოლიდარობა გამოუცხადა ვ. ი. ლენინმა, ყრილობამ აირჩია ცენტრალური კომიტეტი და შექმნა ცენტრალური ორგანო. მაგრამ პარტიის ცენტრალური დაწესებულებანი (ცკ და ცო) განადგურებულ იქნენ ცარიზმის მიერ და მათი აღდგენა აღარ მოხერხდა. ამრიგად, პარტია, როგორც ერთიანი ცენტრალიზებული ორგანიზაცია, ფაქტიურად არ შექმნილა.

მხოლოდ რამდენიმე წლის დაძაბული ბრძოლის შემდეგ, ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთის რევოლუციონერებმა რსდმპ II ყრილობაზე შექმნეს მთლიანი პარტიული ორგანიზაცია. განსაზღვრავდა რა მეორე ყრილობის ისტორიულ მნიშვნელობას, ვ. ი. ლენინი წერდა: „ბოლშევიზმი, როგორც პოლიტიკური აზროვნების მიმდინარეობა და როგორც პოლიტიკური პარტია, 1903 წლიდან არსებობს".

ჩვენმა სახელოვანმა კომუნისტურმა პარტიამ განვლო გზა მკაცრი ბრძოლისა სოციალური და ეროვნული ჩაგვრისაგან ხალხის მასების განთავისუფლებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის და ახლა ხელმძღვანელობს კომუნისტური საზოგადოების აშენებას ჩვენს ქვეყანაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ყველა ქვეყნის მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან ერთად გამოდის მშვიდობის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის მებრძოლი ძალების ავანგარდში, ყველა ღონისძიებით უჭერს მხარს ხალხებს, რომლებიც იბრძვიან იმისათვის, რომ განთავისუფლდნენ იმპერიალისტური და კოლონიური უღლისაგან.

ლენინის პარტიის სახელთან, რომელიც განასახიერებს ჩვენი ეპოქის გონებას, ღირსებას და სინდისს, მთელი მოწინავე კაცობრიობა აკავშირებს დიად გამარჯვებებს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიურ გარდაქმნაში, მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა ბედნიერებისათვის ბრძოლაში.

## „ბურევესტნიკის" ჩემპიონი

ჩერკასში დამთავრდა „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს პირველობა ხელბურთში ვაჟთა გუნდებს შორის. ფინალში თამაშობდნენ კიევისა და თბილისის გუნდები. თბილისელებმა ალმაცლობით ჩაატარეს შეხვედრა, დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 22:9 და მოიპოვეს „ბურევესტნიკის" ცენტრალური საბჭოს ჩემპიონობა.

გ. შარაშიძე,
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.




## ...50 გრამმა გადაწყვიტა

სტოკჰოლმის მსოფლიო პირველობის მოახლოების გამო სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება ძალოსნობაში ადრე დაიწყო.

27 ივლისს ასპარეზობა გახსნეს უმძიმესი წონის ძალოსნებმა. ამ წონაში ჩემპიონობის ძირითად პრეტენდენტებად ჩვენი ქვეყნის გასული წლის ჩემპიონი, სვერდლოვსკელი ვ. სმეტანინი და ექს-ჩემპიონი, უკრაინელი ა. ხალფინი ითვლებოდნენ. მაგრამ ამ ორთაბრძოლაში ჩაება მესამე ძალოსანი, სოხუმელი ა. ჩოლოკიანი, რომელიც ტონის მიმცემი გამოდგა. მან პირველ მოძრაობაში — აჭიმვაში 95 კილოგრამი აწია და ასპარეზობას სათავეში ჩაუდგა. ასეთივე შედეგი ჰქონდა ა. ხალფინს, 2,5 კილოგრამით ნაკლები—ვ. სმეტანინს. ატაცში დაწინაურდა ა. ხალფინი — 87,5 კილოგრამი. 2,5 კილოგრამი წააგეს მასთან ვ. სმეტანინმა და ა. ჩოლოკიანმა. პირველობის ბედი ბოლო მოძრაობაში — აკვრაში წყდებოდა. ა. ხალფინმა მხოლოდ 110 კილოგრამი აჰკრა, ა. ჩოლოკიანმა კი 2,5 კილოგრამით მეტი და ორივენი მაყურებლის როლებში გადავიდნენ. ა. სმეტანინმა 117,5 კილოგრამი აჰკრა და სამჭიდის ჯამში 295 კილოგრამი დააგროვა, რამაც მას სპარტაკიადის ჩემპიონის ოქროს მედალი მოუტანა. 292,5 კილოგრამი დააგროვეს ა. ხალფინმა და ა. ჩოლოკიანმა. მეორე ადგილის ბედი გადაწყვიტა... 50 გრამმა! ეს ის წონაა, რითაც ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენი მეტოქეზე მსუბუქი აღმოჩნდა და ვერცხლის მედალი დაისაკუთრა.

მძიმე წონაში უძლიერესის წოდებისათვის ძირითადად იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის ჩემპიონი ა. ვახონინი და ჩვენი ქვეყნის რეკორდსმენი ვ. მარზაგულოვი. გამარჯვება ჩემპიონს დარჩა —332,5 კილოგრამი. მანვე საბჭოთა კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა აკვრაში—138 კილოგრამი. საქართველოს გუნდის წევრი, სპორტის ოსტატი რ. დათიკაშვილი, რომელიც ფიზკულტურული კოლექტივების ხაზით მონაწილეობს, მეხუთე ადგილზე გამოვიდა.

ქვემსუბუქ წონაში ორი ევგენი შეეჭიდა ერთმანეთს ჩემპიონის ოქროს მედლისათვის. პირველობა მოსკოველ ე. მინაევს დარჩა — 365 კილოგრამი. ე. კაცურამ მასთან 2,5 კილოგრამი წააგო და ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდა საბჭოთა სპორტის ვეტერანი, სპორტის დამსახურებული ოსტატი რ. ჩიმიშკიანი. მან 330 კილოგრამი დააგროვა, რითაც გუნდს ჩათვლა მისცა. მან სცადა საკავშირო რეკორდის დამყარება — 145 კილოგრამი აჰკრა კიდეც... მაგრამ რეკორდი დამტკიცებული არ იქნა, რადგან სპორტსმენის საკუთარი წონა 200 გრამით ნორმაზე მეტი აღმოჩნდა. ამ წონაში ფიზკულტურული კოლექტივების ხაზით ჩვენი რესპუბლიკის ძალოსანმა ხ. ხანუკაშვილმა — 322,5 კილოგრამი დააგროვა და გუნდს ჩათვლა მისცა.

მსუბუქ წონაში პირველობა არავის დაუთმო მსოფლიო ჩემპიონმა ხაბაროვსკელმა ვ. კაპლუნოვმა — 407 კილოგრამი. მან ჩემპიონის ოქროს მედალთან ერთად მსოფლიო რეკორდიც დაამყარა, აჰკრა რა 162,5 კილოგრამი. ძველი რეკორდი საბჭოთა სპორტსმენს ა. უგუნს ეკუთვნოდა და ახალზე 1 კილოგრამით ნაკლები იყო. საქართველოს ნაკრები გუნდის წევრმა კ. მკრტჩიანმა 345 კილოგრამით გუნდს ჩათვლა მისცა. მას არც ფიზკულტურული კოლექტივების ხაზით მონაწილე ა. ჯეირანოვი ჩამორჩა და 342,5 კილოგრამით ჩასათვლელი ქულებით უზრუნველყო გუნდი.

4 წონითი კატეგორიის შემდეგ ნაკრებ გუნდებს შორის ადგილები ასე ნაწილდება: 1. რსფსრ — 66 ქულა, 2. უკრაინა — 59 ქულა, 3. მოსკოვი — 56 ქულა, 4. ყაზახეთი — 47 ქულა, 5. ლენინგრადი — 46 ქულა, 6. საქართველო — 45 ქულა.

## ნაცნობი სასპარეზო ადგილი

„ხიმკის" წყალსაცავი — აი, საბაიდარო ნიჩბოსნობისა და კანოეს ოსტატთა მუდმივი სასპარეზო ადგილი მოსკოვში, მისი წყალი, მისი ბილიკები სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებულ ნიჩბოსანთა შეჯიბრების მონაწილეთა უმეტესობისათვის „ახალ ხილს"

(დასასრული მე-3 გვერდზე)

* * *

შ. ქველიაშვილმა ტყვიით სროლელთა შეჯიბრებაზე უკვე შეძლო სამი საპრიზო ადგილის მოპოვება.



**სურათზე:** შ. ქველიაშვილი ისვრის მცირეკალიბრიანი შაშხანიდან ჩოქელა სროლის შუალედში.

## საბჭოთა ჩოგბურთელები — ფინალში

ჩვენ უკვე ვიუწყებოდით, რომ ახალგაზრდა ჩოგბურთელთა უდიდესი საერთაშორისო შეჯიბრების — „გალეას თასის" ერთ-ერთი ზონის ნახევარფინალურ ასპარეზობაში ჩვენი ქვეყნისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სპორტსმენთა შეხვედრები შეწყდა შებინდების გამო და რომ ამ დროისათვის ანგარიში იყო 1:1. წყვილთა შეხვედრაში, რომელიც მეორე დღეს უნდა გაგრძელებულიყო, წინ იყვნენ ჩვენი სპორტსმენები — ა. მეტრეველი და ნ. მძინარიშვილი — 2:0.

ბრძოლის განახლებისას გფრ-ს ჩოგბურთელებმა მკვეთრად შეცვალეს თამაშის ტაქტიკა, რითაც შეეცადნენ ეხსნათ თითქმის უიმედო მდგომარეობა. მესამე პარტიაში ნაწილობრივ ეს მათ შეძლეს. დაძაბული ბრძოლა დამთავრდა ხ. პლიოტცისა და დ. ნიტშეს სასარგებლოდ— 8:6. მაგრამ მომდევნო პარტიაში ჩვენმა ახალგაზრდა ჩოგბურთელებმა შეძლეს ინიციატივის დაბრუნება, მოიგეს იგი — 6:3 და მასთან ერთად წყვილთა შეხვედრაც — 2:1.

საბჭოთა კავშირის სპორტულ ღირსებას ამ შეჯიბრებაზე ქართველ სპორტსმენებთან ერთად იცავს რიგელი ი. იუშკაც. მომდევნო დღეს, როცა განახლდა ერთეულთა შეხვედრები ამ გუნდებს შორის, ნ. მძინარიშვილი შეცვალა რიგელმა ჩოგბურთელმა. იუშკამ დაამარცხა გერმანელი გოტშალკი (10:8, 3:6, 6:4), ხოლო ა. მეტრეველმა კვლავ მოიპოვა გამარჯვება, ამჯერად ხ. პლიოტცზე — 9:7, 6:1.

ამრიგად, საერთო ანგარიში საბჭოთა კავშირისა და გფრ-ს ახალგაზრდა ჩოგბურთელებს შორის გახდა 4:1 ჩვენი გუნდის სასარგებლოდ.

* * *

ახლახანს მოვიდა ცნობა: ჩვენმა ჩოგბურთელებმა ახალი გამარჯვება მოიპოვეს. ფინალში მათ დაამარცხეს ავსტრიის გუნდი. ა. მეტრეველმა მოუგო ჰოლცერს — 6:3, 6:1, ხოლო ნ. მძინარიშვილმა წააგო ბლანკესთან — 3:6, 1:6. წყვილთა შეხვედრაში თბილისელთა „დუეტმა" გაიმარჯვა ბლანკე-ჰოსკოვეცზე — 6:2, 6:4, 6:4.

მეორე დღეს, დარჩენილ შეხვედრებში, უპირატესობა კვლავ ჩვენი ჩოგბურთელების მხარეზე დარჩა. ამრიგად, გზა ფინალური შეხვედრებისაკენ გახსნილია!

# ნავით კავკასიის მიწისქვეშა მდინარეზე

მდინარე უცნაურად მშვიდია. მეჩვენება, თითქოს წყალმა უცბად დაიკლო. შეიძლება ჩვენ შევცდით გაანგარიშებაში და დაშვება დავიწყეთ ძალიან მაღლა მთებში, სათავეებთან. მე არ შემხვედრია არცერთი კაშხალი და ხომ არ შეიძლება ამ ვიწრო ხეობაში მდინარის მოხვეული სადღაც გვერდზე გაბრუნდეს?

ჩემი მოსაზრებები შემაწყვეტინა ნაწყვეტნაწყვეტმა ბგერებმა: ნავის ძირი ქვებზე დაჯდა. ფეხშიშველი წყალში ვეშვები და ვუბიძგებ ნავს ქვებს შორის წინ, მეჩეჩზე გადავლებით.

მდინარის მოსახვევმა ჩემს წინ საზარელი სურათი გადაშალა: წყალი გაქრა და ჩემს თვალწინ გადაიშალა გამხმარი ლორღიანი მინდორი. ვდგევარ წყალში, რომელიც ჩემს წინ პატარა წყაროებით, სადღაც ძირს, კლდის ნაპრალებში იკარგება.

„ეს ხომ შეუძლებელია!" — თვალები დავხუჭე და მაჯაზე ვიჩქმიტე. ცივი ჰაერი სახეში მიბერავს. ვაბრუნებ ნავს და ვცდილობ წყლის მდინარებას აღმა ავყვე. ყოველ ცდაზე მდინარე კვლავ უკან, ქვების გროვისკენ მაბრუნებს, რომელშიც მუდმივად ილვრება წყალი, როგორც მძლავრ საწურში.

ერთილა მრჩება — ავილო ნავი ხელში და ფეხით გავუდგე გზას ცარიელი კალაპოტისაკენ. ხეობის ნაპირიდან, რომელიც ჩემს ზევით თითქმის 100 მეტრზეა, ქარი მაყრის მტვერს. ლორღი და  რიყის ქვა გაქრა. დარჩა გლუვი, წყლით დამუშავებული გალუნული კლდე.

ისე მივდივარ, თითქოს ბეტონის მინდორზე ვაბიჯებ და თავზე ვევლები კლდიან კიბეებს. გზა გადამილობა დიდმა ორმომ, რომლის ორივე მხარეს აღმართულია ხეობის ვერტიკალური კედელი. წყალი მშვიდია და მასში ირეკლილია ლურჯი ცა. ნავს წყალში ვაცურებ და მეორე მხარეს გადავდივარ.

**რედაქციამ მიიღო ჩეხი ტურისტების ევა და მიროსლავ მალიკების წიგნი, რომელშიც ასახულია საბჭოთა კავშირში, კერძოდ კი საქართველოში მათი მოგზაურობის ამბები. წიგნის სათაურია „ადამიანები და მდინარეები". დღევანდელ ნომერში მკითხველებს ვთავაზობთ ერთ თავს ამ წიგნიდან, რომელშიც მოთხრობილია საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებების შესახებ.**

ფსკერის ორმოს შუაში ნიჩბით ვზომავ სიღრმეს. ნიჩბით ფსკერს ვერ მივუწიე. სად მივყევარ ამ მრგვალ კლდოვან ჭას? მოპირდაპირე მხარეს გრძელდება ხეობის წვეტიანი მოსახვევი. გადამაქვს ნავი იქით.

როგორც იქნა გავიგონე კლდეში სადღაც, ჩემს ქვევით წყლის ხმაური. მაგრამ კალაპოტი რჩება მუდმივად მშრალი, მხოლოდ მის ფსკერზე მოჩანს ჩაღრმავებაში, კირქვისაგან გადარეცხილი წყალი. შორეულ წარსულში აქ, ალბათ, მდინარე იყო, სანამ მისი კალაპოტი მიწისქვეშა გამოქვაბულებში ჩაიძირებოდა.

მდინარის კალაპოტმა ახლა ძლიერად მოუხვია უკან. და აქ მე გაოცებისაგან მეორედ გავშეშდი: კლდის ხვრელიდან რამდენიმე მეტრზე ჩემს ზევით წყლის ნაკადი შხეფებს ყრის და ფსკერის ორმოს კლდოვან ზედაპირს ეცემა. ვჯდები ნავში ფსკერის ორმოს ნაპირზე და თეთრი წვეთების წვიმის ქვეშ წყლის ნაკადთან მივცურავ. იმ მომენტიდან მდინარე მოძრაობს და ქვევით დაშვებას იწყებს. 2 კილომეტრამდე დაღმართზე ფრთხილად ვმოძრაობ. ბორცვზე შევნიშნე კირქვის ქარხნის კვამლი. ფერდობიდან მდინარის ნაპირამდე გაშლილია ბაღები. ვჩერდები ქვების ზღვასთან, ვადმოვდივარ ნავიდან და ქვაზე ვჯდები. ამ მიწისქვეშა მდინარემ ნამდვილად გამოცა. მდინარის აღმა მხრიდან მოდის რიჰარდი და მოაქვს მწიფე ლეღვები: „სად დაეთრეოდი?" ვუყვირით ჩვენ ერთმანეთს და ვიცინით. როცა მე ვყვები, მის სახეზე ვხედავ, რომ იგიც სიამოვნებით აუყვებოდა მდინარეს აღმა იმ ადგილამდე, სადაც მაჭარა ზედაპირზე ამოდის.

ხეობიდან ზღვისაკენ დაშვება — სამოთხეა: მდინარის გაყოლებაზე მოფენილია მწვანე მდელოები თვალუწვდენელი ბაღებით. რიჰარდი ეშვება მდინარის მშვიდი კალაპოტით, რომელიც საქართველოს ამ საუცხოო მხარეში ისე შეიცვალა, რომ ველარ იცნობ. სახლები გამოჭრილი ფრონტონებითა და აივნებით ხეთა მწვანეში ჩაფლულან. და როგორი ხეები! მივაბიჯებ მდინარის გასწვრივ სოფლის ბაღებში და მიწიდან ვიღებ ჩამოვარდნილ ბროწეულს, ლეღვს, მანდარინს. რიჰარდმა ტირიფზე დახვეული რაღაც მოწყვიტა და ჭამს. ეს ტკბილი, წითელი ყურძნის მტევნებია, რომელიც აქ მდინარის ნაპირის გასწვრივ ველურად იზრდება.



წყალი დაიწმინდა, კირქვა სადღაც ხეობის მყუდროებაში ჩაიკარგა. მწვანე ტალღები ნაპრალში ძვრებიან მზით გასხივოსნებულები. ზღვა არც თუ შორსაა.

ხეობაზე დიდი თეთრმონაცრისფრო ნისლი ჩამოწვა და მზე დაფარა. მე ვეშვები ფართო მდინარეზე, რომლის ორივე ნაპირზე შავთეთრა ძროხები და თმახუჭუჭა ცხვრები ძოვენ. მდინარიდან ვხედავ შარაგზაზე ბოძს წარწერით — მაჭარა. ვხედავ ჩემს თვალწინ გადაშლილ ფართოლორღიან კაშხალს და მის უკან აღმართულ ნისლის კედელს. მდინარის უკანასკნელ მოსახვევში შევდივარ. მდინარებას დიდ განივ ტალღებში შევყავარ. ზღვის უშველებელი ზედაპირი მშვიდია, მხოლოდ მაჭარას შესართავთან ზღვა ღელავს.

ტალღები თანდათან შუა ზღვაში მიტაცებენ...

სოხუმის თავზე მზის წითელი ბადრო ზღვაში ეშვება. ძლივს ვაბრუნებ ნავს მდინარის დინების საწინააღმდეგოდ და ნაპირისაკენ მივცურავ. დიდხანს მივცურავ. მდინარემ თითქმის ნახევარ კილომეტრზე შემაგდო ნაპირიდან.

ლორღიან დაბლობზე ბავშვებმა მოირბინეს, ათვალიერებენ რეზინის ნავს, შიგ ჯდებიან და მათ თვალებში ვკითხულობ დაუოკებელ სურვილს, დაისაკუთრონ იგი.

ვაწყობ ნავს ქვებთან და ნიჟარებთან ერთად. რიჰარდმა სულზე მომისწრო ფოტოგრაფული ნადირობიდან. ნახევარი საათის შემდეგ ჩვენ ვზივართ ავტობუსში და ტურბაზისაკენ მივიჩქარით.

• • •

**სურათზე: მდინარე მაჭარას ხედი.**

დასასრული. დასაწყისი იხ. „ლელო" № 148.

# ტურისტულ ბილიკებზე

ჩვენი ქალაქის მშრომელთა ერთ-ერთი საყვარელი ადგილი გახდა თბილისის ტურისტული კლუბი. მრავალი საინტერესო სტენდით მორთული მოსაცდელი დარბაზი ყოველდღიურად ხალხით არის სავსე. ერთიმეორეზე იწერება საგზურები სხვადასხვა მიმართულებით: ზოგს სურვილი აქვს ნახოს ჩვენი წარმტაცი მხარე კახეთი, მდიდარი და თვალუწვდენელი ალაზნის ველი, მრავალი მსურველია ნახოს თამარის მიერ კლდეში ნაკვეთი XII საუკუნის ზღაპრული ციხექალაქი ვარძია და ა. შ.

ზოგიერთს სურვილი აქვს იმოგზაუროს საქართველოს სამხედრო გზაზე, დაათვალიეროს საინტერესო ისტორიული ადგილები, ერთიდაიგივე დროს ნახოს ზამთარი, გაზაფხული და ზაფხულიც. მრავალ საყურადღებო მარშრუტზე მიდიან მოგზაურები. ყველა კმაყოფილი ბრუნდება სახლში, როცა ნახავს ბორჯომის ლამაზ ხეობას, ბაკურიანს, დაათვალიერებს დმანისის ნაქალაქარს, სიონის წყალსაცავს, ნახავს დიდი ვაჟას სამშობლო კუთხე ჩარგალს. ყველა ამ გზებზე მოგზაურთა ცნობისმოყვარეობას სრულად აკმაყოფილებენ გამოცდილი მეგზურები. ამ მუდმივმოქმედი მარშრუტების გარდა ივლისის ბოლოს ტურისტული კლუბი აწყობს საინტერესო მოგზაურობას ავტობუსით. მსურველებს 12 დღის განმავლობაში შეეძლებათ დაათვალიერონ ქუთაისი, ზუგდიდი, სოხუმი, ახალი ათონი, ბიჭვინთა, რიწის ტბა, გაგრა და ყველა ქალაქთან ახლომდებარე საინტერესო ადგილები. ყველა პუნქტიდან თითო დღეს მოეწყობა ახლომდებარე ღირსშესანიშნაობათა დათვალიერება. დასვენების დღეს წინასწარ დაკვეთით ყველა ორგანიზაციას შეუძლია ჩაატაროს ერთდღიანი ლაშქრობები და ექსკურსიები ახლო მარშრუტზე: მცხეთა, არმაზი, შიო მღვიმე, საგურამო, ზედაზენი, კოჯორი, ბეთანია, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა და სხვ. ექსკურსიების და ლაშქრობების ხელმძღვანელებს გამოჰყოფს ტურისტული კლუბი თავისივე თანამშრომლებიდან.

12 სექტემბერს თბილისიდან გაემგზავრება მეგობრობის მატარებელი „საქართველო". ჩვენი რესპუბლიკის 400 მშრომელი 20 დღის განმავლობაში იმოგზაურებს ჩვენი ქვეყნის ცენტრებში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში. მეგობრობის მატარებელი „საქართველო" იმოგზაურებს წინასწარ განსაზღვრული სვლიგეზით: „თბილისი-კიევი-მინსკი-ვილნიუსი - რიგა-ტალინი-ლენინგრადი - მოსკოვი-თბილისი. ამ საინტერესო მოგზაურობაში ყველა მსურველს შეუძლია შეიძინოს საგზური. სასურველია კოლექტიური მონაწილეობა.

მშრომელთა მასობრივი გაჯანსაღებისა და აქტიური დასვენების მიზნით საჭიროა ყველა წარმოებასა და დაწესებულებას ჰყავდეს ტურისტთა საზოგადოებრივი ინსტრუქტორი, რომელიც შეძლებს ფართო მასების ტურისტულ მოძრაობაში ჩაბმას. ამ მიზნის მისაღწევად ტურისტულ კლუბს გათვალისწინებული აქვს ჩაატაროს ტურიზმის ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სამთვიანი სემინარი წარმოებიდან მოუწყვეტლად.

**პ. გვარლიანი**





ოდესაში გაიმართა შავი ზღვის აუზის მეგობრული რეგატა. გამარჯვებისათვის იბრძოდა საბჭოთა კავშირის, რუმინეთის, ბულგარეთის, იუგოსლავიის 80 სპორტსმენი.

**სურათზე: „ფინის" კლასის ნავები სტარტზე.**

საკდესის ფოტოქრონიკა, მიღებული ფოტოტელეგრაფით.

## რკალურ რბოლაში

მოსკოვში, მინსკის გზატკეცილის მე-19 კილომეტრზე სტარტი მიეცა საერთაშორისო ველორბოლას 100 კილომეტრზე. გამარჯვებისათვის იბრძოდნენ საბჭოთა კავშირის, იუგოსლავიისა და შვეციის გუნდები, რომლებიც მსოფლიო პირველობისათვის ემზადებიან. საკმაო სიცხე, ჰაერის მაღალი ტემპერატურა მეტად აძნელებდა ბრძოლას. 50 კმ ყველაზე სწრაფად გაიარეს ჩვენი ქვეყნის პირველი ნაკრები გუნდის წევრებმა — მელიხოვმა, ჩერეპოვიჩმა, კაპიტონოვმა და საიდხუჟინმა. მათ ამ მონაკვეთზე აჩვენეს 1:08.6. შემდეგში მათ ხელიდან აღარ გაუშვიათ ლიდერობა და 100 კმ გაიარეს 2:17.28-ში. მეორე ადგილზე გამოვიდა საბჭოთა კავშირის II ნაკრები, მესამეზე — შვეციის გუნდი.

## ჩემპიონობა შეინარჩუნეს

ნოგინსკში გაიმართა საბჭოთა კავშირის პირველობის გათამაშება ველოსპორტში (ტრეკი). პროგრამაში იყო საათიანი სალიდერო რბოლა. შეჯიბრებას დიდხანს ლიდერობდნენ მ. მარკოვი და გ. ტრავკინი, მაგრამ 98-ე წრეზე მათ გადაუსწრო ი. ლაპტევმა (ლიდერი ი. ზაიცევი). საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდება შეინარჩუნეს ი. ლაპტევმა და ი. ზაიცევმა.




(დასასრული)

არ წარმოადგენს, რადგან მათ ადრეც არაერთხელ უცდიათ აქ ძალები.

გამარჯვებისათვის ძალღონის დაუზოგავად იბრძოდნენ საქართველოს კანოისტებიც. მართალია, ჩემპიონის ოქროს მედლებს ვერ შეწვდნენ, მაგრამ საპრიზო ადგილებს მაინც არ გაცილებიან. ასე იყო ერთადგილიანი კანოეთი შეჯიბრებაზე. სტარტიდან სამნი დაწინაურდნენ: მასპინძელთა გუნდის წევრი ა. მარტინოვი—საკმაო გამოცდილების მქონე სპორტსმენი, საერთაშორისო ბრძოლებში ნაწრთობი მ. ზამოტინი (ლენინგრადი) და „ახალგაზრდობის" წარმომადგენელი, მცხეთელი ჯ. ხოშებაევი.

ჩვენი გუნდის წევრი ერთხანს წინაც გავიდა, მაგრამ, როგორც გამოირკვა, დაწინაურება ნაადრევი მოუვიდა, ბოლომდე ვერ შეძლო ლიდერობის შენარჩუნება და ზედ ფინიშზე გაიმარჯვა სატურნირო გამოცდილებამ — მ. ზამოტინმა და ა. მარტინოვმა მცირედ მიასწრეს მას. საბოლოოდ ჯ. ხოშებაევმა ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი.

გამარჯვების კარგი შანსი ჰქონდა კანოეთი 10000 მეტრზე რბოლის მონაწილე ნ. რაზმაძე-ი. ბიკოვის (საქართველო) ორადგილიან ნავსაც, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატების არაერთგზის მონაწილეებმა ლ. გეიშტორმა და ს. მაკარენკომ (ბელორუსია) შეძლეს რბოლაში მთელი გამოცდილების გამოყენება და პირველი ადგილის მოპოვება. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებმა — ნ. რაზმაძემ და ი. ბიკოვმა დაიკავეს მეექვსე ადგილი. ერთადგილიანი ბაიდარებით ამავე მანძილზე ფინალურ რბოლაში უძლიერესი იყო ტაჯიკეთის გუნდის წევრი ი. ჰასანოვი. ორადგილიანით რბოლა მოიგეს გ. ლევჩენკომ და კ. ნაზაროვმა (რსფსრ).

---

## ლ. ჟურული და ა. სტროევი — ჩემპიონები

ტყვიით მსროლელთა შეჯიბრების მეოთხე დღემ წარმატება მოუტანა საქართველოს გუნდის წევრებს. ამ დღეს გაიმართა მრავალრიცხოვანი შეჯიბრება — ნებისმიერი არმიული შაშხანიდან სტანდარტზე (3×40) 300 მეტრზე სროლა. თვითეულ მონაწილეს 6 საათზე მეტი უხდებოდა ცეცხლის ხაზზე ყოფნა.

წოლელა სროლაში თავი ისახელეს საქართველოს მსროლელებმა ა. სტროევმა, შ. ქველიაშვილმა, რ. ანანიკიანმა. მათთან ერთად წარმატებით დაიწყეს სროლა მოსკოველმა ო. ლაპკინმა, აზერბაიჯანელმა ა. პარსიანმა და ბელორუსელმა ვ. ლემიდოვმა. ამ ვარჯიშში ყველაზე მეტი გამძლეობა ა. სტროევს აღმოაჩნდა და როცა სპორტსმენთა მიერ „მომკილი" ქულები შეჯამდა, ა. სტროევს 393 ქულა მოეგროვებინა 400 შესაძლებლიდან, რაც საკმარისი აღმოჩნდა ჩემპიონის ოქროს მედლის მოსაპოვებლად. დანარჩენმა ხუთეულმა ერთნაირად „იმუშავა" — თვითეულმა 391 ქულა მოაგროვა და საკონტროლო ათიანების უპირატესობით ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლები ო. ლაპკინსა და ვ. ლემიდოვს დარჩათ. ამავე შედეგით შ. ქველიაშვილი და რ. ანანიკიანი გავიდნენ IV და VI ადგილებზე. სამაგიეროდ, გუნდს საშუალება მისცეს მეორე ადგილზე გასულიყო ამ ვარჯიშში.

შემდეგ ვარჯიშში — ჩოქელა სროლაში ჩვენი გუნდიდან მხოლოდ შ. ქველიაშვილმა შეინარჩუნა კარგი სტარტი. სამმა სპორტსმენმა — ა. იაკონიუკმა (ლენინგრადი), ვ. იაროშენკომ (უკრაინა) და ი. მეიტინმა (რსფსრ) — 386 ქულის მოგროვება შეძლო თვითეულმა და ამავე თანმიმდევრობით გაინაწილეს საპრიზო ადგილებიც. მედალოსნებს ერთი ქულით ჩამორჩნენ ვ. შამბურკინი (ლენინგრადი) და შ. ქველიაშვილი.

სამი მდგომარეობიდან ვ. იაროშენკოს 1139 ქულა აღმოაჩნდა და პირველობაც მას მიეკუთვნა. ა. სტროევმა მოიპოვა მეოთხე ადგილი — 1132 ქულა, რ. ანანიკიანმა — მეექვსე — 1129 ქულა.

ახალი საკავშირო რეკორდით აღინიშნა „გაქცეულ ირემზე" 50 ერთმაგი გასროლა. ო. ზაკურენოვმა (რსფსრ) 239 ქულა მოგროვა და არა მარტო 11 ქულით აჯობა მეორე პრიზიორს, თანაგუნდელ ვ. სტარატელოვს, არამედ 4 ქულით გააუმჯობესა ი. ნიკიტინის ძველი საკავშირო რეკორდიც. საერთოდ, ამ ვარჯიშში ძლიერად გამოვიდნენ რსფსრ-ს გუნდის წევრები. მათ 6-დან 4 საპრიზო ადგილი მოიპოვეს და გუნდურ ჩათვლაშიც გააუმჯობესეს საკავშირო რეკორდი — 919 ქულა. ძველი რეკორდი უდრიდა 900 ქულას, დამყარებული იყო 5 წლის წინათ და ეკუთვნოდა საკავშირო ნაკრებს.

მცირეკალიბრიანი პისტოლეტიდან 50 მეტრზე სროლამ უპირატესობა როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს შორის მოსკოვს მოუტანა. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა თ. ლომოვა (მოსკოვი) — 274 ქულა 300-დან. ვაჟები ამავე ვარჯიშში ილებდნენ 60 ტყვიას. ა. ზაპოლსკიმ მოაგროვა 558 ქულა. თუმცა ასეთივე შედეგი ჰქონდა მ. აკულოვსაც (უზბეკეთი), მაგრამ იგი ვერცხლის მედლით დაკმაყოფილდა. მართალია, ვაჟთა პირადში პრიზიორებში საქართველოდან არავინ მოხვდა, მაგრამ ჩვენი რესპუბლიკის კოლექტივმა 2159 ქულა მოაგროვა და მეექვსე ადგილზე გამოვიდა.

ქალთა შეჯიბრებამ მცირეკალიბრიანი შაშხანიდან 50 მ სროლაში ახალი ჩემპიონი შემატა ჩვენს რესპუბლიკას. ლ. ჟურულმა ყველაზე მეტი — 566 ქულა დააგროვა და მოიპოვა სპარტაკიადის ოქროს მედალი.

---

## მფრინავ სამიზნეებზე

დამთავრდა გუნდური ტურნირი სასტენდო სროლაში. ადგილიდან სროლაში საქართველოს კოლექტივი (ზ. მაჩხანელის, ი. საგანელიძის, კ. დარასელიასა და ა. ოვსეპიანის შემადგენლობით) კარგად გამოვიდა — მოიპოვა მეოთხე ადგილი (ჩემპიონი გახდა უკრაინის გუნდი, მომდევნო ადგილებზე არიან ლენინგრადი და რსფსრ), მაგრამ მრგვალ სტენდზე მსროლელები (ბ. ანტონოვი, ბ. სეგალევიჩი, ბ. მეგრელაძე, რ. აჟიბა) ვერ მოხვდნენ უძლიერესთა ექვსეულში, რის გამო მესტენდურეები ორივე სახეობის ჯამში VIII ადგილით დაკმაყოფილდნენ. პირველი ადგილი მოიპოვეს უკრაინელებმა. დაიწყო შეჯიბრება პირად პირველობაზე.

## მდგომარეობა ასეთია

უკან დარჩა სპარტაკიადის ოთხი დღე. უკვე შეიძლება ვილაპარაკოთ საერთო ჩათვლაზეც (ნაკრები გუნდების, მოსწავლეთა სპარტაკიადის, საწარმოო კოლექტივების შედეგებით). წინ მიდიან უკრაინის რსფსრ-ს, მოსკოვისა და საქართველოს სპორტული დელეგაცები. მომდევნო ადგილზე არიან ლენინგრადი და ბელორუსია. რაც შეეხება ნაკრები კოლექტივების მაჩვენებლებს, ოთხეული აქაც უცვლელია, ხოლო ბელორუსიამ და ლენინგრადმა გაცვალეს ადგილები. საწარმოთა კოლექტივების შეჯიბრებაში (მხედველობაშია მხოლოდ შტანგა) ჩვენი დელეგაცია V ადგილზე იმყოფება. წინ არიან ლენინგრადი, რსფსრ, აზერბაიჯანი და ბელორუსია. უკრაინის კოლექტივი მეექვსე ადგილზე იმყოფება.

**ჯ. ენუქიძე,**
ჩვენი სპეც. კორესპონდენტი.

• • •

**სურათზე:** საქართველოს გუნდის წევრი ა. ჩოლოკიანი, რომელმაც უმჩატეს წონაში (ძალოსნობა) ვერცხლის მედალი მოიპოვა.



## „დიდი თასის" მისამართი ცნობილია

მოფარიკავეთა მსოფლიო პირველობაზე დაშნით ბრძოლაში გუნდური ასპარეზობის ძირითად ფავორიტად ყველა სპეციალისტი ერთხმად თვლიდა საბჭოთა კავშირის ძლიერ კოლექტივს — 1961 წლის მსოფლიო ჩემპიონს. სამწუხაროდ, ეს მოლოდინი არ გამართლდა. ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ბ. სახაროვი, გ. კოსტავა, ა. ნიკანჩიკოვი, გ. კრისი და ი. ვიტებსკი, გამოვიდა თავის შესაძლებლობებზე გაცილებით სუსტად.

ჯერ თითქოს ყველაფერი კარგად მიდიოდა და საბჭოთა დაშნით მებრძოლებმა ადვილად გაიკვლიეს გზა ნახევარფინალამდე. მაგრამ აქ მათ მოუხდათ ბრძოლა გასული წლის მსოფლიო ჩემპიონებთან — ფრანგ სპორტსმენებთან. ჩემპიონისა და ექს-ჩემპიონის ბრძოლა დამთავრდა პირველის გამარჯვებით — 9:7 და ჩვენს სპორტსმენებს გზა გადაეკეტათ ოქროსა და ვერცხლის მედლებისაკენ. რჩებოდა მხოლოდ ბრინჯაო. მაგრამ მის მოსაპოვებლად საჭირო იყო გამარჯვება უნგრეთის გუნდზე. სამწუხაროდ, ეს შეხვედრაც თავიდანვე მარცხით წარიმართა საბჭოთა გუნდისათვის. უნგრელებმა წაიყვანეს ანგარიში: 3:0, 5:0, 7:0! შემდეგ ექს-ჩემპიონმა თითქოს გარდატეხა მოახდინა და შეამცირა სხვაობა — 5:7. მაგრამ ეს იყო ყველაფერი, რისი გაკეთებაც მან შეძლო. უნგრელებმა კვლავ იგდეს ხელთ ინიციატივა, გაიმარჯვეს (9:5) და დაისაკუთრეს კიდეც მესამე საპრიზო ადგილი.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ ფრანგები და პოლონელები. ჩემპიონატის მასპინძლებმა შეძლეს დაემტკიცებინათ, რომ მათი ფინალში გასვლა სრულიადაც არ იყო შემთხვევითი. მათ დამაჯერებელი ანგარიშით — 9:5 დაამარცხეს გასული წლის ჩემპიონები და მოიპოვეს ოქროს მედლები გუნდური გამარჯვებისათვის.

ამ სახეობის შემდეგ ჩემპიონატის დამთავრებამდე რჩებოდა მხოლოდ გუნდური პირველობა ესპადრონში. აქ მოპოვებული შედეგების მიუხედავად საბჭოთა მოფარიკავეთა კოლექტივმა უკვე გაინაღდა ჩემპიონატის მთავარი პრიზის — „ერთა დიდი თასის" მოპოვება, რამდენადაც საერთო ჩათვლაში მის აქტივშია სამი ოქროს მედალი (რაპირაში ვაჟთა და ქალთა გუნდებს შორის და ესპადრონში ი. რილსკის პირადი გამარჯვებისათვის). კონკურენტებს მხოლოდ თითო გამარჯვება აქვთ.

## ტურნირის ფინიშზე

**ლოს-ანჟელოსში დამთავრდა 8 გროსმაისტერის საერთაშორისო ტურნირი. გაიმარჯვეს საბჭოთა გროსმაისტერებმა — მსოფლიო ჩემპიონმა ტ. პეტროსიანმა და პ. კერესმა. თვითეულმა 8,5-8,5 ქულა დააგროვა და პირველი-მეორე ადგილები გაიყვეს.**

## ჩვენი ფეხბურთელები საზღვარგარეთ

ამხანაგური საერთაშორისო მატჩების ჩასატარებლად უცხოეთში მიემგზავრებიან თბილისის „დინამოსა" და ქუთაისის „ტორპედოს" ოსტატი ფეხბურთელები.

თბილისის „დინამო" ტურნეს ჩაატარებს დანიაში, ხოლო ქუთაისის „ტორპედო" — ბულგარეთში. ჩვენი ფეხბურთელები ითამაშებენ ადგილობრივ საკლუბო გუნდებთან.

---

## ცვლილებანი კალენდარში

სსრ კავშირის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარში მოხდა ცვლილებანი.

დღეს მინსკში გაიმართება მორიგი კალენდარული მატჩი, სადაც ერთმანეთს შეხვდებიან ადგილობრივი „დინამო" და როსტოვის არმიელთა გუნდი. **4 აგვისტოს** თამაშობენ „ზენიტი" (ლენინგრადი)-სკა (როსტოვი), „დინამო" (კიევი)-„არარატი" (ერევანი), **8 აგვისტოს** — „ზენიტი" (ლენინგრადი)-„ავანგარდი" (ხარკოვი), **9 აგვისტოს** — „დინამო" (კიევი)-„დინამო" (ლენინგრადი), „კრ. სოვეტოვი" (კუიბიშევი)-„ტორპედო" (მოსკოვი), **14 აგვისტოს** — „ტორპედო" (ქუთაისი)-„სპარტაკი" (მოსკოვი), „დინამო" (მოსკოვი)-„არარატი" (ერევანი).

გადატანილია პირველი წრის დარჩენილი მატჩები: „დინამო" (მოსკოვი)-„ტორპედო" (ქუთაისი), ცსკა-„სპარტაკი" (მოსკოვი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი)-„დინამო" (თბილისი), „ტორპედო" (მოსკოვი)-ცსკა, „ნეფტიანიკი" (ბაქო)-„დინამო" (თბილისი). მათი ჩატარების თარიღები გამოქვეყნდება შემდეგში.

---

## პირველ ადგილზე

სარატოვში დამთავრდა „ა" და „ბ" კლასების ოსტატთა გუნდებთან არსებული მოსამზადებელი ჯგუფების ნახევარფინალური ტურნირი.

შესანიშნავად ჩაატარა შეჯიბრება თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლის გუნდმა. თბილისელებს ბოლო შეხვედრა ჰქონდათ კიროვოგრადის „ზვეზდასთან". ჩვენმა გუნდმა გაიმარჯვა ანგარიშით 1:0. ეს ერთადერთი, მეტად ლამაზი ბურთი გაიტანა გედეშურმა 20 მეტრის მანძილიდან.

თბილისელებმა ტურნირში დაიკავეს პირველი ადგილი. ისინი მონაწილეობას მიიღებენ ფინალურ შეჯიბრებაში, რომელიც ოდესაში დაიწყება 18 აგვისტოს.

**გ. ბაქანიძე,**
**ჩვენი სპეც. კორ.**

---

## ტურნირი სლავიანსკში

**სლავიანსკი. (ტელეგრაფით. ჩვენი სპეც. კორ.).** თბილისის „დინამოს" მოზარდი ფეხბურთელები წარმატებით გამოდიან ნახევარფინალურ ტურნირში. მათ მორიგი შეხვედრა ჰქონდათ ლუგანსკის „შრ. რეზერვებთან".

თბილისელებმა საუკეთესოდ ითამაშეს ამ მატჩშიც და დაამარცხეს მოწინააღმდეგე ანგარიშით 2:0. ახლა ისინი დამაჯერებლად ლიდერობენ ნახევარფინალურ ჯგუფში.

## ფეხბურთის მიმოხილვა



მოსკოვში გამართულმა ამერიკისა და საბჭოთა კავშირის მძლეოსანთა მატჩმა კიდევ უფრო დააახლოვა ამ ორი ქვეყნის მძლეოსნები. ამ სურათზე თქვენ ხედავთ საბჭოთა სპორტსმენ თ. დმიტრიევას, რომელიც ესაუბრება სტუმრებს ს. ჰეგარტსა (მარცხნივ) და ს. ნოტს.

საქდესის ფოტოქრონიკა.

## პორტიში მტკიცედ ლიდერობს

ჰალეს ზონალური ტურნირის დასასრულამდე ერთი ტურიღა რჩება.

18 ტურის შემდეგ 13,5 ქულით ლიდერობს გროსმაისტერი ლ. პორტიში (უნგრეთი). მას ფაქტიურად უკვე გარანტირებული აქვს საზონათაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლება, ისევე, როგორც მეორე ადგილზე მყოფ გროსმაისტერ ბ. ლარსენს (დანია) 13 ქულით.

11,5 ქულა მოაგროვეს გროსმაისტერებმა კ. რობაჩმა (ავსტრია) და ბ. ივკოვმა (იუგოსლავია), 9 ქულა — ოსტატმა ვ. კოვალეკმა (ჩეხოსლოვაკია), 8,5 ქულა — ოსტატებმა კ. მალიხმა (გდრ) და კ. იოჰანსონმა (ისლანდია), რვა-რვა ქულა აქვთ გროსმაისტერებს ვ. დონერს (ჰოლანდია), ვ. უჰლმანს (გდრ) და პ. ტრიფუნოვიჩს (იუგოსლავია).

## მ. ტალი იმედს გვაძლევს

ასე ამბობს გროსმაისტერი ს. ფლორი ლ. ასტალოშის ხსოვნის საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირზე ტალის ბრწყინვალე გამარჯვების გამო. თუ ადრე ნიჭიერ რიგელ მოჭადრაკეს წარმატებების მოპოვებაში ხელს უშლიდა ავადმყოფობა, ახლა განკურნებული ტალი მომავალი გამარჯვების იმედს გვაძლევს.

როგორც ადრე ვიუწყებოდით, მიშკოლცში დამთავრდა უნგრელ და მეზობელი ქვეყნების მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი. ტალმა ისე დაიკავა პირველი ადგილი, რომ 10 გამარჯვება მოიპოვა და 5 პარტია ყაიმით დაამთავრა. ეს შესანიშნავი შედეგია. მან 2 ქულით გაუსწრო ბრონშტეინს (10,5 ქულა), რომელმაც აგრეთვე დაუმარცხებლად განვლო ტურნირი. მესამე ადგილი წილად ხვდა უნგრელ გროსმაისტერ ბილეკს (10 ქულა). პრიზიორებს ერთი ქულით ჩამორჩნენ უნგრელები საბო და დელი (9 ქულა თვითეულს).

ტურნირმა ტალის, ბრონშტეინისა და ბილეკის საუცხოო სპორტული ფორმის გარდა, ცხადყო უნგრელი მოჭადრაკეების გაზრდილი ოსტატობა.

# კვლავ პირველ რაუნდში

მატჩ-რევანშის მოახლოვებასთან დაკავშირებით, როგორც ეს პროფესიონალურ მოკრივეებს ჩვევიათ, ლისტონმა და პატერსონმა კვლავ „გაჰკენწლეს" ერთმანეთი. ყოფილმა მსოფლიო ჩემპიონმა ლისტონს ბრალად დადო, რომ მან ხელოვნურად გააჭიანურა განმეორებითი ორთაბრძოლის მოწყობის დრო. ლისტონმაც დამცინავად მოიხსენია მეტოქე, რომელიც თავის ჩემპიონობის პერიოდში თავს არიდებდა სახიფათო პრეტენდენტებს და უკანასკნელ ოთხ წელიწადში სულ სამი მატჩი ჩაატარა. კრივის მოყვარულთა გულის მოგების მიზნით ლისტონმა განაცხადა, რომ იგი არ მიბაძავს თავის წინამორბედს და სიამოვნებით შეხვდება ყველა ღირსეულ მეტოქეს. მატჩი მსოფლიო პირველობაზე, ლისტონის აზრით, წელიწადში ორჯერ მაინც უნდა მოეწყოს. შემდეგ ლისტონმა სრული რწმენა გამოთქვა, რომ მესამე რაუნდამდე აუცილებლად მოუგებდა პატერსონს და დათანხმდა შეხვედროდა ახალ მეტოქეს — კასიუს კლეის.

თითქმის ერთდროულად კორესპონდენტებს ინტერვიუ მისცა ფლოიდ პატერსონმაც. მან დარწმუნებით განაცხადა, რომ შემთხვევითობა აღარ უნდა განმეორებულიყო. ექს-ჩემპიონმა ისიც კი თქვა, რომ როდესაც ერთმანეთს ადარებს ინგემარ იუჰანსონსა და სონი ლისტონს, მისთვის ჟღავოა შვედის უპირატესობა. „იუჰანსონი ერთადერთი მოკრივეა მსოფლიოში, რომელიც ჩემთვის საკმაოდ სახიფათოდ მიმაჩნიაო". პატერსონი გულშემატკივრებს დაპირდა ნოკაუტით დაემთავრებინა შეხვედრა მეხუთე რაუნდამდე მაინც.

ექს-ჩემპიონის ასეთი განცხადების მიუხედავად, თითქმის არავის ეპარებოდა ეჭვი, რომ ლისტონი შეინარჩუნებდა თავის წოდებას. ტელევიზიით გამოსვლისას პროფესიონალური რინგის ვეტერანებმა ჯო ლუისმა, ჯო უილკოტმა და როკი მარჩიანომ უდავო უპირატესობა მიანიჭეს ლისტონს. არ ყოფილა არც ერთი გამოჩენილი მოკრივე, რომელსაც მიაჩნდა, რომ პატერსონი მოახერხებდა მეტოქის დამარცხებას და ისიც ნოკაუტით. მიმომხილველებმა ისიც მოიგონეს, რომ ჯერ კიდევ პირველი მატჩის მკვეხარა განცხადებების მიუხედავად, პატერსონს არ სჯეროდა თავისი გამარჯვებისა.

განმეორდა წინა მატჩის ისტორია. სონი ლისტონის წინასწარ „სპარინგს" ლას-ვეგასში მაყურებელთა დიდი რაოდენობა დაესწრო. პატერსონის ვარჯიშზე კი არავის უშვებდნენ. პროფესიონალური კრივის მესვეურებმა მატჩი „დიდ ბიზნესად" გადააქციეს. არ იქნა ნებადართული მატჩის გადაცემა ტელევიზიით, სამაგიეროდ, დახურული სატელევიზიო არხებით შეხვედრის მსვლელობა ტრანსლირებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების სხვადასხვა ქალაქში, იმ კინოთეატრებში, რომლებმაც წინასწარ შეიძინეს მატჩ-რევანშის გადაცემის უფლება. რაც შეეხება თვით ლას-ვეგასის სამატჩო დარბაზს, მასში შესასვლელი ბილეთების ფასმა ხომ პირდაპირ ასტრონომიულ თანხას (100 დოლარს) მიაღწია.

მატჩმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ პატერსონმა დაკარგა თავისი სპორტული ღირსებები. იგი უკვე პირველ რაუნდშივე „წამოეგო" მეტოქის დარტყმაზე და ველარ შეძლო ბრძოლის გაგრძელება. საყურადღებოა, რომ მატჩი სულ 40 წამით უფრო გვიან დამთავრდა, ვიდრე ამავე მეტოქეების პირველი შეხვედრა.

• • •

**სურათზე: სონი ლისტონი.**



# სენსაცია განმარტებებით

წარმოიდგინეთ, რომ მსოფლიო რეკორდი სიგრძეზე ხტომაში — 8.31 მ ერთბაშად გაუმჯობესდა და მიაღწია 8.73 მ-ს. ამგვარი ნახტომი ყველაზე მეტად სენსაციური იქნებოდა მძლეოსნობის ისტორიაში, თუმცა მსგავსი უკვე მოხდა. ამას წინათ ტაივანის მკვიდრმა, რომელიც ამჟამად აშშ-ში ცხოვრობს, იან ჩუან-კუანმა ერთბაშად 438 ქულით გააუმჯობესა რ. ჯონსონის მსოფლიო რეკორდი ათჭიდში და პირველმა გადალახა 9-ათასიანი ზღვარი.

იან ჩუან-კუანი უკვე არა ერთი წელია საუკეთესო ათჭიდელთა რიგებშია. მან ჯერ კიდევ 1960 წელს რ. ჯონსონთან ბრძოლაში, როცა ამ უკანასკნელმა მსოფლიო რეკორდი (8683 ქულა) დაამყარა, მოაგროვა 8426 ქულა. ეს მაჩვენებელი შევადაროთ უკანასკნელ მაჩვენებელს — 9121 ქულას, მაგრამ მხედველობაში ნუ მივიღებთ ჭოკით ხტომას. 9 სახეობაში იან ჩუან-კუანს დიდი პროგრესი არ განუცდია. ახლა მან მხოლოდ 43 ქულით მეტი მოაგროვა, ვიდრე 1960 წელს და იმავე 9 სახეობის ჯამში ახალი „რეკორდსმენი" ჯონსონთან მაინც აგებდა 347 ქულას.

ამრიგად, ახალი რეკორდის დამყარებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა ჭოკით ხტომამ.

ათჭიდში თავის საუკეთესო გამოსვლების დროს იან ჩუან-კუანი ლითონის ჭოკით ძლევდა მაქსიმუმ 4.30 მ-ს. თუ ვივარაუდებთ, რომ რეგულარული ვარჯიშით შეძლებდა მიეღწია 4.50 მ-მდე, მაშინაც კი ჯონსონის მსოფლიო რეკორდამდე არ ეყოფოდა 6 ქულა. ფიბერგლასის ჭოკით კი რეკორდის დამყარების დროს 4.83 მ აიღო, რის გამოც შედეგების გამოთვლის არსებულმა ცხრილმა მას თითქმის დაუმსახურებლად 444 ქულა აჩუქა.

ცხრილი, რომელიც აგებულია უბრალო არითმეტიკული პროგრესიის პრინციპებზე და კარგახანია გადასინჯვას საჭიროებს, თავისი სუსტი მხარე სწორედ იან ჩუან-კუანის მაგალითზე გამოავლინა. „დარიცხვის პროგრესიული სისტემის" უარყოფითი როლი განსაკუთრებით ნათლად ჩანს იქიდან, რომ ათჭიდელები ჭოკით ხტომის დროს 4 მეტრს ზევით დაძლეული ყოველი 20 სანტიმეტრისათვის 100 ქულას ღებულობენ დამატებით. 4.80 მ-მდე დაძლეული ყოველი 5 სანტიმეტრისათვის 100 ქულას, ხოლო 4.80 მ-ს ზევით ყოველი სანტიმეტრისათვის — 30 ქულას. თუ იან ჩუან-კუანი ფიბერგლასის ჭოკით 5.16 მ-ს (რაც ახლა პრობლემა აღარაა) დაძლევდა, მიიღებდა 2500 ქულას. ამგვარ ქულებს კი ათჭიდელი მოაგროვებს 100 მეტრის 8,9 წამში, 400 მეტრის 39,5 წამში, თარჯრბენით 110 მეტრის 12,0 წამში, 1500 მეტრის 3.16,0-ში გარბენისათვის, 9.75 მ სიგრძეზე გადახტომისათვის, შუბის 91.40 მ ტყორცნისათვის, რაც თითქმის ყველა შესაძლებლობას აღემატება.

1515 ქულა, რომელიც იან ჩუან-კუანმა ფიბერგლასის ჭოკით ხტომაში მიიღო, ყველაზე დიდი მაჩვენებელია, რომელიც როდისმე შეუძლია დაიმსახუროს ათჭიდელმა, რომელიც გნებავთ სახეობაში.

ორ სახეობაში — ბირთვის კვრასა და ბადროს ტყორცნაში იან ჩუან-კუანმა 1346 ქულა მოაგროვა, ე. ი. გაცილებით ნაკლები, ვიდრე ერთ სახეობაში — ჭოკით ხტომაში. თუ მოვიგონებთ იმასაც, რომ ახალი რეკორდსმენი ყოველმხრივ განვითარებული არაა, ნათელი გახდება, რომ ახალი მსოფლიო რეკორდი მას მხოლოდ ფიბერგლასმა მოუტანა.

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციას განზრახული აქვს მომავალი წლიდან მრავალჭიდში ქულათა შეფასების ახალი ცხრილი შემოიღოს ხმარებაში, მაგრამ იმ დროისათვის იან ჩუან-კუანის უკანასკნელი მაჩვენებელი ალბათ დამტკიცდება მსოფლიო რეკორდად, ისე, რომ რეფორმა მასზე არავითარ გავლენას არ მოახდენს და, ცხადია, ათჭიდელებს ისღა დარჩებათ, რომ იბრძოლონ მხოლოდ პირველი ადგილებისათვის და არა მსოფლიო რეკორდისათვის, რადგან მას ახალი ცხრილით ველარავინ შეწვდება.

## ფულის ნიშნების მოყვარულნი

ლუცერნთან (შვეიცარია) ახლომდებარე ტბაზე მოწყობილ რეგატის დროს სხვა ქვეყნების სპორტსმენებთან ერთად შეჯიბრებაზე უნდა გამოსულიყვნენ დასავლეთგერმანელი ნიჩბოსნები, რომლებმაც ის-ის იყო თავიანთი გასტროლები დაამთავრეს ამერიკის შეერთებულ შტატებში. როგორც ცნობილია, გფრ-ს ნიჩბოსანთა გუნდმა, რომელიც რატცებურგის წარმომადგენლებიდან იყო დაკომპლექტებული, გასულ წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის სახელი. რატცებურგელები სტარტზე არ გამოვიდნენ. რატომ? ამაზე ძალზე გულახდილად ლაპარაკობს ჰამბურგის გაზეთი „ბილდი".

„რატცებურგის" ნიჩბოსანთა კლუბმა, — წერს გაზეთი, ლუცერნის რეგატის ორგანიზატორებს წაუყენა მოთხოვნა, რომ თუ ისინი 2000 მარკას არ გაიღებდნენ, მსოფლიო ჩემპიონი სტარტზე არ გამოვიდოდა. ორგანიზატორებმა ჩემპიონებს თითო კაცზე 50 ფრანკი შესთავაზეს, რაც რატცებურგელებს ძალზე ეცოტავათ. ლუცერნის რეგატის ორგანიზატორებმა მტკიცედ დაიცვეს თავიანთი სიტყვა.

— ეს ხომ პროფესიონალიზმია, — ერთხმად ამბობდნენ შეჯიბრების მონაწილე სპორტსმენები და მაყურებლები. ბოლოსდაბოლოს ხომ უნდა დაიდოს ზღვარი სპორტსმენ-მოყვარულთა და ფულის მოყვარულთა შორის?

რედაქტორის მაგიერ ზ. ჯაფარიძე.

ЛЕЛО
ИНДЕКС 66448

გაზეთი გამოდის სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო", ტელეფონები: რედაქტორის — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივნისა და განყოფილებების — 3-35-09, გამომშვების — 3-01-06.

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 06014